



საქმე №1/ზ-29-13

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

7 თებერვალი, 2013 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე: გერონტი კახეთელიძემ

ლიკა ჭილაძის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმდებლის: დ.ბ.-ს

მსჯავრდებულის: გ.წ.-ს

ადვოკატის: ტ.რ.-ს

მონაწილეობით,

ღია სასამართლო სხდომაზე, პროკურორ ვ. მ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №XXXXXXXXXXXXX): მსჯავრდებულ გ. ვ.-ს-ზე წ.-ს (პირადი №XXXXXXXXXXXXX), დაბადებულის 1968 წლის 30 მაისს ქ. გ.-ში, საქართველოს მოქალაქის, განქორწინებულის, საშუალო განათლების მქონის, ნასამართლობის არმქონის, რეგისტრირებულის და ფაქტობრივად მცხოვრების: გ.-ს რაიონის სოფ. ქ.-ში, ამჟამად პატიმრის, მიმართ, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, –

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. წ.-მ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

გ. წ.-მ გ.-ს რაიონის სოფელ ქ.-ში, ე.წ. „ზ.-ზე“, 2012 წლის 14 აგვისტოდან 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, კუთვნილი „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მიწიდან ამოიღო სახელმწიფოს კუთვნილი 6068,10 ლარის ღირებულების სარწყავი წყლის ლითონის მილები, რასაც დაეუფლა ფარულად. სახელმწიფოს კი, აღდგენითი სამუშაოების ჩათვლით, მიაყენა 11 331,52 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებით გ. წ.-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული;

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენით:

გ.წ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი – 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე, საქართველოს სსკ-ს 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობით და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 3 (სამი) წელი.

გ. წ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 11 ოქტომბრიდან;

გ.წ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა;

ნივთმტკიცებები – სარწყავი წყლის მილები, „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორი და რკინის საჭრელი მოწყობილობა, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს გორის რაიონული სამმართველოს მე-4 განყოფილებაში, განაჩენის მიხედვით, უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ვ. მ.-მ.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტმა ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს მიერ გ.წ.-ს მიმართ გამოტანილი 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენის გაუქმება სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მსჯავრდებულის მიმართ, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სანქციის ფარგლებში, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლის გარეშე, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნივთმტკიცების – გ.წ.-ს კუთვნილი ტრაქტორის, როგორც განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის, ჩამორთმევა უსასყიდლოდ, აგრეთვე, მსჯავრდებულისათვის გამოსაცდელი ვადის სწორად დანიშვნა.

შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორ ვ.მ.-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და განაჩენში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შეფასდა ბრალდების მხარის მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს და სააპელაციო სასამართლოში მხარეების მიერ შეკრებილი და სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა არ მომხდარა, ვინაიდან წინასასამართლო სხდომაზე ზემოაღნიშნული მტკიცებულებები ბრალდების და დაცვის მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და მათ, საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიენიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა. მსჯავრდებულ გ.წ.-ს დანაშაულებრივ ქმედებას მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა იზიარებს აპელანტის პოზიციას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულს არასწორად დაუნიშნა გამოსაცდელ ვადად 3 წელი. საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს პირობით მსჯავრზე ერთი წლით მეტი. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულ გ.წ.-ს 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი – 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე განუსაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე ჩაუთვალა პირობით, ამდენად, გამოსაცდელ ვადად უნდა დანიშნულიყო 2 (ორი) წელი და 6 (ექვსი) თვე და არა 3 წელი, როგორც ეს დადგენილია გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენით გ.წ.-ს მიმართ.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ვერ გაიზიარებს პროკურორის მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ.წ.-სათვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა უკანონოა და აშკარად ლმობიერი. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამომძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს სასჯელის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში გ.წ.-სათვის არ წაუსწრიათ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, როგორც ამას აცხადებს პროკურორი სააპელაციო საჩივარში. პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული პრეიუდიციულად მიჩნეული მტკიცებულებების მიხედვით, გ.წ. ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა სარწყავი წყლის მილებს, როდესაც სამი დღის განმავლობაში – 2012 წლის 14 აგვისტოდან 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, თავისი ტრაქტორით მიწიდან ამოიღო ისინი. გ.წ. დანაშაულებრივად მოქმედებდა ამ სამი დღის განმავლობაში და მის მიერ დანაშაულის – ქურდობის ჩადენა დასრულდა 2012 წლის 16 აგვისტოს. ამ პერიოდში მისთვის არ წაუსწრიათ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, არამედ გ.წ. პოლიციის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე დააფიქსირეს 2012 წლის 21 აგვისტოს, როდესაც ეს უკანასკნელი

დაქირავებულ მუშებთან ერთად გასაყიდად ამზადებდა მის მიერ უკვე მოპარულ სარწყავი წყლის მილებს. გ.წ.-მ აღიარა ჩადენილი დანაშაული, უთხრა პოლიციელებს, როდის, რა გარემოებებში და რა საშუალებით ჩაიდინა სარწყავი მილების ქურდობა, რითაც ითანამშრომლა გამოძიებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა დაცვით და უფლებამოსილი იყო მსჯავრდებულისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას განაჩენით დაედგინა სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი პირობით მსჯავრად ჩაეთვლა.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, აგრეთვე მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს მსჯავრდებულისათვის კუთვნილი ტრაქტორის, როგორც განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის, ჩამორთმევის საფუძველი. საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით, სასჯელის სახით ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევის აუცილებელი პირობაა ის, რომ ქონების ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ან/და ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. სააპელაციო საჩივრის განხილვისას ბრალდების მხარემ ვერ დაასაბუთა, მსჯავრდებულისათვის კუთვნილი ტრაქტორის უსასყიდლოდ ჩამორთმევა რატომ არის საჭირო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე ის, რომ გ.წ. ამ ტრაქტორით ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რაც წმინდა შეფასებით, სუბიექტური კატეგორიაა. პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი, პრეიუდიციულად მიჩნეული მტკიცებულებების მიხედვით, გ.წ. ცხოვრობს სოფელში, საკუთრებაში აქვს „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორი, რომლითაც სოფლად ასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, იგი ოფიციალურად არის უმუშევარი და არ გააჩნია რეგულარული შემოსავლის წყარო, ოჯახში ჰყავს ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი დედა და 14 წლის არასრულწლოვანი შვილი. პალატას მიაჩნია, რომ ტრაქტორის ჩამორთმევით მსჯავრდებულს ფაქტობრივად დარჩება უსახსროდ, შემოსავლის წყაროს გარეშე, რაც სასჯელის მოხდის შემდეგ გააძნელებს საზოგადოებაში მის ინტეგრაციას და რესოციალიზაციას, რითაც ვერ იქნება მიღწეული საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზანი.

ამდენად, სასამართლომ ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი უტყუარობის, ასევე გ.წ.-ს დამნაშავედ ცნობისთვის საკმარისობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა – მოწმეების ნ.ბ.-ს, თ.ბ.-ს, ზ.ტ.-ს, მ.ს.-ს, ე.ს.-ს, მ.ჯ.-ს, მ.ჯ.-ს, ვ.გ.-ს, შ.წ.-ს, ლ.მ.-ს, ბ.წ.-ს ჩვენებები, გ.წ.-ს აღიარებითი ჩვენება, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ამოღების ოქმი, ამოღებული ნივთმტკიცებები, 2012 წლის 31 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნა Nინ-XXX და საქმეში არსებული სხვა წერილობითი მტკიცებულებები – ადასტურებს, რომ გ.წ.-მ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს ადრე განზრახი

დანაშაულისათვის ნასამართლობის არმქონე პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული, გარდა იმავე კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისა.....(აღნიშნულ დანაშაულთა ჩამონათვალში საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული არ არის მითითებული).

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ან/და სასჯელის შემცირება ერთნაირად და პროპორციულად ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა.

ამასთანავე, პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიძლება შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენში მსჯავრდებულ გ.წ.-ს მიმართ ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი და გ.წ. უნდა გათავისუფლდეს სასჯელისაგან.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-3, მე-18, მე-20 მუხლებით და 23-ე მუხლის II და IV ნაწილებით, –

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორის კ.მ.-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 დეკემბრის განაჩენში მსჯავრდებულ გ.წ.-ს მიმართ ცვლილება იქნეს შეტანილი;

გ.წ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სასჯელის ნაწილი – 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 1 (ერთი) წელი და 6 (ექვსი) თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის

საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობით და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 (ორი) წელი და 6 (ექვსი) თვე;

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-3 და მე-18 მუხლების თანახმად, მსჯავრდებული გ.წ. გათავისუფლდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული რეალური სასჯელის, პირობითი მსჯავრის და გამოსაცდელი ვადის მოხდისაგან;

გ.წ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ.წ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გაუქმებულია;

ნივთმტკიცებები – სარწყავი წყლის მილები, „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორი და რკინის საჭრელი მოწყობილობა, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს გორის რაიონული სამმართველოს მე-4 განყოფილებაში, დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა) მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

/გ. კახეთელიძე/